

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

საქართველოს 2007 წლის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული პრიორიტეტების გათვალისწინებით, ფასების საერთო დონის სტაბილურობისა და ეროვნული ვალუტის მსყიდველობითი უნარის შენარჩუნების მიზნით საქართველოს 2007 წლის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს საფუძვლად დაედოს წლიური ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებელი 6%-ის ფარგლებში. ამასთანავე, ფასებზე მიწოდების, ეგზოგენური ფაქტორების გემოქმედების გათვალისწინებით, რომელიც სცილდება საქართველოს ეროვნული ბანკის კომპეტენციას, შესაძლებელია ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებლიდან გადახრა.

2. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ფულის მიწოდება განახორციელოს მასზე მოთხოვნის შესაბამისად, მთლიანი შიდა პროდუქტის 7,5%-იანი რეალური საპროგნოზო ზრდის, ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზაციის გაგრძელების, ეროვნული ვალუტის გამოყენების არეალის გაფართოების, აგრეთვე მსხვილი საინვესტიციო პროექტების განხორციელებისას მნიშვნელოვანი ოდენობის უცხოური ვალუტის შემოდინებისა და ეკონომიკის დოლარიზაციის ხარისხის შემცირების გათვალისწინებით. სარეზერვო ფულის მოცულობა გაიზარდოს 20%-ის ფარგლებში, რომლის წყაროც უმთავრესად ეროვნული ბანკის მიერ საერთაშორისო რეზერვების აკუმულირება და კომერციული ბანკების დაკრედიტება იქნება.

3. ფასების სტაბილურობის პრიორიტეტული მიზნის გათვალისწინებით, გაიზარდოს მონეტიზაციის დონე. ფართო ფულის მაგება მოხდეს ძირითადად ფინანსური შუამავლობის გაზრდით, მათ შორის, ეროვნული ვალუტით განხორციელებული საბანკო შუამავლობის დონის ამაღლებით (შესაბამისი ფულადი მულტიპლიკატორის მაგების ხარჯზე).

4. სავალუტო პოლიტიკა განხორციელდეს მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმის ფარგლებში. ლარის კურსის მკვეთრი კონიუნქტურული რყევების თავიდან აცილებისა და სავალუტო ბაზარზე სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განახორციელოს ორმხრივი სავალუტო ინტერვენციები, ამასთანავე, ფასების სტაბილურობის პრიორიტეტულობის გათვალისწინებით, ხელი შეუწყოს ლარის რეალური ეფექტიანი გაცვლითი კურსის ისეთი დინამიკის ჩამოყალიბებას, რომელიც დაეხმარება ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებას.

5. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სავალუტო პოლიტიკა განახორციელოს ისე, რომ 2007 წლის ბოლოსათვის ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვების

მოცულობამ საქონლისა და მომსახურების იმპორტის 2.5 თვის ეკვივალენტი შეადგინოს.

6. საქართველოს საბანკო სისტემის შემდგომი კონსოლიდაციის, ქვეყანაში ფინანსური უკუბრუნების გაუმჯობესებისა და საბანკო სისტემის მდგრადობის შემდგომი ამაღლების მიზნით გაგრძელდეს კომერციული ბანკების მინიმალური საბეღამხედველო კაპიტალის ეგაპობრივი ზრდა.

7. ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციისა და საბანკო მუდამხედველობის ბაზელის კომიტეტის მიერ განსაზღვრული „ეფექტიანი საბანკო მუდამხედველობის ძირითადი პრინციპების“ გათვალისწინების მიზნით საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გააგრძელოს მუშაობა საბანკო საქმიანობისა და საბანკო მუდამხედველობის ნორმატიული ბაზის შემდგომი სრულყოფისათვის, რაც მოიცავს როგორც არსებული კანონმდებლობის დახვეწას, ისე ახალი ნორმატიული ბაზის მომზადებას.

8. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საფინანსო ბაზრების შემდგომი განვითარებისა და იმ მონეტარული რეგულირების ინსტრუმენტების მრავალფეროვნებისა და ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, რომლებიც ხელთ აქვს, მოახდინოს ამჟამად არსებული სავალუტო და საკრედიტო აუქციონების ბაზრის თანდათანობითი ჩანაცვლება ფულადი და ღია ბაზრის ოპერაციებით.

9. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ფულად-საკრედიტო ოპერაციების, მათ შორის, ღია ბაზრის ყიდვა-გაყიდვისა და რეპო ოპერაციების, განხორციელებისას, საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები (სახელმწიფო ობლიგაციები) და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებული საკუთარი ფასიანი ქაღალდები (სადეპოზიტო სერტიფიკატები). კომერციული ბანკების ლიკვიდობის დონის მართვისათვის საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, საჭიროების შემთხვევაში, აგრეთვე გამოიყენოს ერთდღიანი კრედიტებისა და დეპოზიტების მექანიზმი, ბანკთაშორისი საკრედიტო და სადეპოზიტო აუქციონები და განახორციელოს სვოპის გიპის ოპერაციები.

10. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა წლის განმავლობაში შექმნილი მაკროეკონომიკური ვითარების გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში, მოახდინოს მინიმალური სარეზერვო ნორმის კორექტირება.

11. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გააგრძელოს აქტიური თანამშრომლობა საქართველოს პარლამენტთან „დეპოზიტების დამღვევის შესახებ“ და „საკრედიტო-საინფორმაციო ბიუროების შესახებ“ საქართველოს კანონების მიღების მიზნით და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტის (რომელიც ეხება კომერციული ბანკის ადმინისტრატორთა და მნიშვნელოვანი წილის მფლობელთა შესაფერისობის კრიტერიუმების სრულყოფას) მომზადებისა და მიღებისათვის.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარის მოადგილე

მიხეილ მაჭავარიანი

თბილისი,

2006 წლის 22 დეკემბერი.
N 3993 - რს